საექსპერტო შეფასება

შესრულებულია არქიტექტურული პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვეის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

საფუძველი: "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის "დ" ქვეპუნქტი.

ობიექტის მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის. №40,(ს/კ 01.14.72.034.281).

ობიექტის ფუნქციური დანიშნულება: სავაჭრო ცენტრი.

წარმოდგენილი მასალა: არქიტექტურული პროექტი ("მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 47-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობით)

გამოსაკვლევი ნაწილი

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წინამდებარე საექსპერტო შეფასება მოიცავს არქიტექტურული პროექტის შემდეგ ნაწილებს:

1) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;
2) კონსტრუქციის ტიპის შეფასებას;
3) სიმაღლის და ფართობის შეფასებას;
4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომის, გასასვლელების და შენობის გამოსასვლელების შეფასებას;
5) გზა-კიბისა და სხვა გასასვლელი გამტარუნარიანობის შეფასებას;
6) მისაწვდომობის შეფასებას;
7) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;
8) სახურავის ანაწყობის შეფასებას;
9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამოჯვნების შეფასებას;
10) ხანძრისგან დაცვის სისტემის შეფასებას;
11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;
12) ავტოსადგომის შეფასებას;
13) ლიფტების შეფასებას;
14) კვამლისგან დაცვის სისტემების შეფასება;

გამოკვლევა

1) **დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:**

წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტი ითვალისწინებს დაკავებულობის კლასიფიცირებას მე-3 თავის მიხედვით და აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, რომელიც შეესაბამება 302-ე ქვეთავს.

დამხმარე ჯგუფი დს (მიწისქვეშა სართულის დონეზე, ნიშნული +0.000 და მიწისზედა სართულის დონეზე, ნიშნული +2.950) შეესაბამება "წესების" 312.1 ქვეთავს, სადაც დს ჯგუფს მიეკუთვნება, მაგრამ არა მხოლოდ ---- სახანძრო ტუმბოების და ავზის ოთახი, დამხმარე სათავსების და მექანიკური მოწყობილობების ოთახი. დაკავებულობის დატვირთვის კოეფიციენტი შეესაბამება 27,9.

სასაწყობე ჯგუფი სწ-2 (მიწისზედა სართულის დონეზე, ნიშნული +6.050) შეესაბამება "წესების" 311.3 ქვეთავს, სადაც სასაწყობე ჯგუფს სწ-2- მიეკუთვნება --- ღია ან შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი. დაკავებულობის დატვირთვის კოეფიციენტი შეესაბამება 18.6.

სვაჭრო ჯგუფი სვ (I; II; III; IV; V; VI; VII; VIII; IX და X სართული) რაც შეესაბამება "წესების" 309.1 ქვეთავის მოთხოვნებს სადაც სვ ჯგუფს მიეკუთვნება, მაგრამ არა მხოლოდ ---- საცალო და საბითუმო მაღაზიებს; უნივერმაღებს. დაკავებულობის დატვირთვის კოეფიციენტი შეესაბამება 2.8.

დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვები შერჩეულია სწორად და შეესაბამება "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 47-ე მუხლით გათვალისწინებულ წესებს.

2) **კონსტრუქციის ტიპის შეფასება:**

ექსპერტის მიერ შეფასებული იქნა საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპი (I-B ტიპი), რომელიც პროექტის ავტორის მიერ შერჩეული იქნა შენობის დაკავებულობის, სიმაღლისა და სართულის ფართობის მიხედვით, რაც სავსებით აკმაყოფილებს "წესების" 503 ცხრილის მოთხოვნებს. (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისთვის კონსტრუქციის ტიპების მიხედვით იხ.601 ცხრილში)

3) **სიმაღლის და ფართობის შეფასება:**

საპროექტო ობიექტის სიმაღლე და ფართობი შეესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციის ტიპთან და აკმაყოფილებს "წესების" 503 ცხრის მოთხოვნებს. საპროექტო შენობა 10 სართულიანია და შენობის

ყველაზე მაღალი დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან (ამ შემთხვევაში აღმაშენებილის გამზირის მხარეს მიწის დონიდან) 28.70 მ-ია და შესაბამისად "წესების" განმარტების მიხედვით შენობა არ არის მაღლივი.
შენობის თითოეულ სართულზე დაკავებულობის ფართობის ჯამური მაჩვენებელი გასასვლელი საშუალებებით ფართობებთან და სხვა ელემენტებთან ერთად არ ცდება "წესწბის" 503 ცხრილში მოცემულ ფართობთან დაკავშირებულ ზღვრებს.

4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომის, გასასვლელების და შენობის გამოსასვლელების შეფასება:

ამ ნაწილში წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს "წესების" მოთხოვნებს, კერძოდ:
შენობის დაკავებულობისა და სართულიანობის გათვალისწინებით საჭიროა მინიმუმ 2 გასასვლელის მოწყობა (ცხრილი1021.2(1)),რაც პროექტით გათვალისწინებულია, კერძოდ ყველა სართულს აქვს ორი გასასვლელი გზა-კიბის სახით, ხოლო მიწის დონის სართულზე (II სართულზე) მოწყობილია 2 გამოსასვლელი (2 გზა-კარი) რომელიც უზრუნველყოფს ყველა სართულისთვის მინიმუმ 2 გასასვლელს. ორივე გასასვლელს (გზა-კიბეს) აქვს გასასვლელთან მისადგომი, საკმაოდ განიერი დერეფანი რაც აკმაყოფილებს "წესების" 1018 ქვეთავის მოთხოვნებს;

გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორად, გასასვლელიდან ყველაზე დაშორებული ფართობის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს "წესების" 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.
ასევე გასასვლელები დაპროექტებულია ისეთი სახით რომ მისაწვდომია შეზღუდულ უნარიანთა გადაადგილებისთვის.

5) გზა-კიბისა და სხვა გასასვლელი გამტარუნარიანობის შეფასება:

პროექტით წარმოდგენილი ორივე გზა-კიბის სიგანე არის 1.10მ (მოაჯირებს შორის), რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავების მოთხოვნებს. კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარის გასწვრივ მოწყობილია მოაჯირი 1013 ქვეთავის შესაბამისად და კედლის მხარეს მოწყობილია სახელური 1012 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ხოლო გზა-კიბის ბაქანის ზომები შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს;
სხვა გასასვლელი საშუალებები სწორად არის დაგეგმარებული, კერძოდ: დერეფნის მინიმალური სიგანე 1005.3.2 ქვეთავის მიხედვით შეიძლება იყოს 0.9მ, ხოლო პროექტით გათვალისწინებულია 1.2მ. ყველა კარის სიგანე (რაც გასასვლელი საშუალებების ნაწილია) 90 გრადუსით გაღებულ მდგომრეობაში შეადგენს 92სმ თავისუფალ სიგანეს, რაც აკმაყოფილებს 1008.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

6) მისაწვდომობის შეფასება:

შენობაში 2 შესასვლელიდან ორი შესასვლელი მოწყობილია ისე არ საჭიროებს პანდუსს (მიწიზ ზედაპირის დონეზეა) ავტომობილებისთვის მიწისზედა დაონეზე მოწყობილია 1.38%-იანი პანდუსი რომლის ზომები სავსებით აკმაყოფილებს 406.9.4.4 ქვეთავის მოთხოვნებს და არის მისაწვდომი;

ყველა კარი რომელიც გასასვლელი საშუალებების ნაწილია არის მისაწვდომი;

შენობაში არის 2 ლიფტი, რომელებიც ზომების მიხედვით არის მისაწვდომი;

სწორედ არის განსაზღვრული მისაწვდომი სვლა-გეზი;

მისაწვდომობა უზრუნველყოფილია ღია(გარე) ავტოსადგომზეც, დაცულია 1106.1 ქვეთავი და შესაბამისად ცხრილის მიხედვით გათვალისწინებულია მისაწვდომი სადგომების რაოდენობა (1 სადგომი).

7) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

შენობის გარე კედლების უმრავლესობა ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის გათვალისწინებითაა მოწყობილი (მიწის ნაკვეთის საზღვრებიდან და ქუჩის ღერძიდან შენობის დაშორება 9 მეტრს აღემატება) და არ ესაჭიროება ხანძარმედეგობა (ცხრილი 602 მიხედვით), მაგრამ პროექტით გათვალისწინებულია 2 საათიანი ხანძარმედეგობის ხარისხი. გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი 705.8 ცხრილის მიხედვით არის შეუზღუდავით;

დაცულია აგრეთვე 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნები, რომლის თანახმად საპროექტო შენობის გარე კედლების ღიობები ერთმანეთისგან შვეულად გამიჯვნას არ საჭიროებს, კერძოდ ფასადზე არსებულ ღიობებს აქვს 76სმ-ზე მეტი სიგანის აივნები, ხოლო უაივნო ღიობები დაშორებულია შვეულად 0.9 მეტრზე მეტი მანძილით.

8) სახურავის ანაწყობის შეფასება:

საპროექტო შენობის სახურავი არის რკინაბეტონის კონსტრუქციის, მრავალშრიანი ბრტყელი გადახურვა, მცირე ქანობით, გააჩნია წყალამკრეფი ღარები და მილები. სახურავი მოქცეულია პარაპეტის საზღვრებში.

601 ცხრილის მიხედვით შერჩეული კონსტრუქციის ტიპიდან (I-B ტიპი) გამომდინარე სახურავის კონსტრუქციას და არაძირითად ნაწილებს უნდა გააჩნდეს 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, თუმცაღა პროექტის ავტორის მიერ გათვალისწინებულია ხანძარმედეგობის 2 საათიანი ხარისხი.

სახურავზე მოწყობილია პარაპეტი, რომელიც აკმაყოფილებს 705.11.1. ქვეთავის მოთხოვნებს.

9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამოჯვნების შეფასება:

საპროექტო შენობაში არსებული სვ ერთეულები 420.3 ქვეთავის თანახმად ერთმანეთისგან თარაზულად არის გამოჯნული 2 საათიანი ცეცხლმედეგობისხარისხის მქონე იატაკის ანაწყობით, რაც აკმაყოფილებს როგორც კონსტრუქციის ტიპს მოთხოვნებს (ცხრილი 601), ასევე 711.3 ქვეთავის მოთხოვნებს;

კიბის უჯრედებს 4 მხრიდან დაცულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე კედლებით და გააჩნია 1.5 საათიანი ცეცხლმედეგობის თვითმკეტებადი კარები, რაც შეესაბამება 1009.3.1.2 ქვეთავისა და 716.5 ცხრილის მოთხოვნებს;

შენობაში არსებული შახტების (ლიფტის, საჰაერო და საკომუნიკაციო) შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 2 საათიანი, რაც შეესაბამება 713.4 ქვეთავის მოთხოვნებს (საჰაერო შახტის ღიობები დაცული უნდა იყოს 717.5.3 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული ცეცხლისა და კვამლის ფარსაკეტები).

10) ხანძრისგან დაცვის სისტემის შეფასება:

საპროექტო შენობის სიმაღლე მიწის დონიდან 28.70მ-ს არ აღემატება, სვ ჯგუფი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ავტოსაშხეფი სისტემით 903.2.8 ქვეთავის მიხედვით და 903.3 ქვეთავის შესაბამისად.
სწ-2 ჯგუფი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ავტოსაშხეფი სისტემით 903.2.10 ქვეთავის მიხედვით.
ავტოსაშხაფი სისტემა პროექტით გათვალისწინებულია ავტოფარეხში, სავაჭრო და დერეფნებში, დერეფნებში საშხაფე სისტემა 1018.1 ცხრილის მიხედვით არის განსაზღვრული.
აგრეთვე გათვალისწინებულია:
სახანძრო მილდგარების სისტემა, სახანძრო განგაშის სისტემა და ხელის ცეცხლმაქრობი;

11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა შეესაბამება 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს;

12) ღია ავტოსადგომის შეფასება:

დაცულია ავტოსადგომისადმი საჭირო მოთხოვნები, ავტოსადგომის ზომები, განლაგება და გასასვლელები აკმაყოფილებს 406.9.4 ქვეთავის მოთხოვნებს;

13) ლიფტების შეფასება:

ვინაიდან ორიდან ერთ ლიფტს არ აქვს ფოიე, ლიფტის შახტა არის დაწნევადი,

რაც აკმაყოფილებს 713.14.1 ქვეთავის № 6 გამონაკლისის მოთხოვნას, ლიფტის შახტის ბოლოში მოწყობილია საჰაერო ნახვრეტები და საჰაერო შახტა 1704.1,1704.2 და 1704.3 ქვეთავების შესაბამისად.

14) კვამლისგან დაცვის სისტემების შეფასება:

ავტოფარეხში და ყველა დერეფანში მოწყობილია კვამლსაწინააღმდეგო ვინტილაციის სისტემა.

კიბის უჯრედებში და ტამბურში მოწყობილია დაწნევის სისტემის სავენტილაციო შახტები რომლებიც მარაგდება სახურავზე მოწყობილი დაწნევის დანადგარებიდან.

ყველა სვ, ჯგუფის ფართობებში დმონტაჟებულია კვამლის აღმომჩენი საგანგაშო სისტემები.

კვამლისგა დაცვის სისტემები სწორედ არის დაპროექტებული/

დასკვნა

ქ.თბილისში მორეტის ქ. №24ა/მორეტის ქ. №24ა-ს მიმდებარედ (ს/კ 01.11.12.002.116) მდებარე მიწის ნაკვეთზე დაპროექტებული სავაჭრო ცენტრის პროექტი შეესაბამისობაშია “ტექნიკური რეგლამენტის “შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები” დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვეის №41 დადგენილების მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

გაფრთხილება:
სახანძრო უსაფრთხოების და მასთან დაკავშირებული საინჟინრო კომუნიკაციების პროექტები უნდა დამუშავდეს “შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები”-ს მოთხოვნების დაცვით!

ექსპერტი: ბ. დავითური

სერტიფიკატი

№ 2017-135

გადაეცემა

ბექა დავითურს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი. დირექტორი

GEORGIA

DIPLOMA AA № 0015379

BEKA DAVITURI

enrolled in 1991 in TBILISI STATE ACADEMY OF ARTS and in 1997 graduated the full course of THE ACADEMY OF ARTS

specializing in the field of ARCHITECTURE

By the Decision of the State Examination Commission of JUNE, 28 1997 HE was awarded the qualification AN ARCHITECT-RESTORER

Rector

Chairman of the State Examination Commission

Dean

Seal

City TBILISI 1997

Registration No 5943 Registrar

საქართველო

დიპლომი AA № 0015379

1991 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და 1997 წელს დაამთავრა სამხატვრო აკადემიის ფაკულტეტის სრული კურსი სპეციალობით. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 199 7 წლის „28" ივნისის გადაწყვეტილებით მიენიჭა არქიტექტორ-რესტავრატორის კვალიფიკაცია.

რექტორი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

დეკანი

ქალაქი თბილისი 1997 წ.

სარეგისტრაციო No 5943 რეგისტრატორი

რეზიუმე
ბექა დავითური

დაბადების თარიღი, ადგილი;	1974 წელი 10 სექტემბერი, ქ. დუშეთი
საკონტაქტო ინფორმაცია;	ქ.თბილისი ვ. ბიქტორიშვილის № 12ა მობ. 571005999, 558617746
განათლება: 1991-1997 წ.	თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. არქიტექტურის ფაკულტეტი(მაგისტრატურა გაიარა).
სამუშაო გამოცდილება; 1994-2006 წ.	არქიტექტორ გიგა ბათიაშვილი-ს არქიტექტურულ-შემოქმედებითი სახელოსნო. შპს „თეთრი ქალაქი" თანამდებობა; არქიტექტორი. საპროექტო ობიექტი; კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი „თეთრი ქალაქი"
2006-2007 წ.	შპს „არტსტუდიო პროექტი" თანამდებობა; არქიტექტორი.
2007 წ.- დან დღემდე	ი/მ ბექა დავითური „ორნამენტი"-ის დირექტორი საიდენტიფიკაციო კოდი: 105014270

დაპროექტებული ობიექტების ჩამონათვალი:

1. ქ. თბილისი, ჯავახეთის № 11 ბანკის შენობა (საკ.კოდი 01.19.20.009.023) 2001 წ.
2. ქ. თბილისი დ. აბაშიძე № 10 თბილისის თბოელექტროცენტრალი: (რეკონსტრუქცია) (საკ.კოდი 01.16.05.012.028) 2003 წ.
3. ქ. თბილისი გამზ. ალ.ყაზბეგი № 34 ინდ საცხოვრებელი სახლი (საკ.კოდი 01.14.03.040.036) 2003 წ.
4. ქ. თბილისი, ყაზბეგი მოსკოვი № 24ა შპს „ZIM" საოფისე შენობა (საკ.კოდი 01.19.34.002.194) 2003 წ.
5. ქ. თბილისი გამზ. მუკუზნი № 5ა საოფისე-კომერციული ნაგებობა; (საკ.კოდი: 01.10.13.031.004) 2007 წ.
6. ქ. თბილისი გლდანის VII მ/რ პურის ხარხანა და სასტუმრო (საკ.კოდი 73.13.27.673) 2009 წ.
7. ქ. თბილისი სოფ წავკისი ინდ. საცხოვრებელი სახლი (საკ.კოდი 81.02.12.413) 2019 წ.
8. ქ. გორი ქუჩა ჭავჭავაძე № 54 საჭრელიცლის შპს შიდ ქარხნის მთავარი სამარილეს შენობა (საკ.კოდი 66.45.24.180) 2007 წ.
9. ქ. ბათუმი დ. კლდიაშვილის № 3 პრივალდინიანი საცხოვრებელი სახლი (საკ.კოდი 05.22.10.014) 2009 წ.
10. ქ. დუშეთი, თამიაანთკარი, ინდ საცხოვრებელი სახლი (საკ.კოდი 71.63.58.597) 2017 წ.
11. ქ. დუშეთი ნაჩაშას ქუჩა № 59 ინდ საცხოვრებელი სახლი (საკ.კოდი 71.51.02.405) 2018 წ.
12. ქ. დუშეთი ზანდუკელის ქუჩა № 64 ინდ საცხოვრებელი სახლი (საკ.კოდი 71.51.02.884) 2017 წ.

ი/მ ბექა დავითური ----------



ბექა დავითური

საექსპერტო გამოცდილება

„ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე.

თბილისი

1. ავლაბარი სასტუმრო (საკ.კოდი 01.17.01.050.032) AR1639230
2. ქ. ქინძმარაული მეტალოპლასტიკის კარ-ფანჯრების დამამზადებელი საწარმო (საკ.კოდი 01.19.33.001.244) AR16318755
3. ლილო საწყობები (საკ.კოდი 81.08.16.806) AR1620789 და AR1644907
4. წავკისი ერთბინიანი საცხოვრებელი (საკ.კოდი 81.02.20.363) AR1565548
5. ქ. გამრეკელი ორბინიანი საცხოვრებელი (საკ.კოდი 01.14.02.026.008) AR1657636
6. ქ. წურწუმია ბენზოგასამართი სადგური (საკ.კოდი 01.17.01.050.017) AR1658077
7. აღმ. ხეივანი ბენზოგასამართი სადგური (საკ.კოდი 01.72.14.007.615) AR1659801
8. ვაშლიჯვარი ბენზოგასამართი სადგური (საკ.კოდი 01.10.11.001.168) AR1578334

რეგიონები

1. ქ. ბათუმი ბენზოგასამართი სადგური (საკ.კოდი 05.29.24.101)
2. ქ. ფოთი ბენზოგასამართი სადგური (საკ.კოდი 04.01.03.876)
3. ქ. ბორჯომი ბენზოგასამართი სადგური (საკ.კოდი 64.22.08.011)
4. ქ. დმანისი ბენზოგასამართი სადგური (საკ.კოდი 82.01.41.189)
5. მანგლისი სასტუმრო (საკ.კოდი 84.18.39.415)
6. ურეკი სასტუმრო (საკ.კოდი 26.28.12.642)
7. ბაკურიანი ორბინიანი საცხოვრებელი (საკ.კოდი 64.30.11.056)
8. ქ. წნორი ჩურჩხელების დამამზადებელი საწარმო (საკ.კოდი 56.04.55.094)
9. ქ. ხონი ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკა (საკ.კოდი 37.07.46.031)
10. ქ. რუსთავი გასართობი ცენტრი (საკ.კოდი 02.02.06.574)
11. ქ. რუსთავი სავაჭრო ცენტრი (საკ.კოდი 02.02.04.281)
12. ქ. რუსთავი სავაჭრო ცენტრი (საკ.კოდი 02.02.02.508)
13. ქ. რუსთავი მრავალბინიანი საცხოვრებელი (საკ.კოდი 02.03.04.772)
14. მუნიციპალიტეტი წალკა, დაშბაშის კანიონის ბუნებრივი ძეგლი; ვიზიტორთა ცენტრი(საკ.კოდი 85.25.21.527)
15. მუნიციპალიტეტი წალკა, დაშბაშის კანიონის ბუნებრივი ძეგლი; რესტორანი (საკ.კოდი 85.25.21.527)


Georgia
GEO
ბექა
BEKA
დავითური
DAVITURI
GEO 38 / M
01026011496
10.09.1974
04.02.2029
18IC71464